დაიწყო განაცხადების მიღება YES-CHINA პროგრამაზე აღმოსავლეთ ჩინეთის პოლიტიკის და სამართლის მეცნიერებების უნივერსიტეტში ნომინანტების წინასწარი შერჩევისთვის, რომელიც დაფინანსებულია „ჩინეთის მთავრობის სტიპენდია 2025-2026“ მიერ

აღნიშნული პროგრამა აპლიკანტებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ დაფინანსება 2025-2026 სასწავლო წლის აღმოსავლეთ ჩინეთის პოლიტიკის და სამართლის მეცნიერებების უნივერსიტეტის (ECUPL) ერთწლიან შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

- LL.M. საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი
- საჯარო მართვა და სოციალური ადმინისტრირება

<u>კონკურსზე დაშვების წინაპირობა:</u>

1. არ უნდა იყოს ჩინეთის მოქალაქე, კარგი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობით; 2025 წლის 1 სექტემბრისთვის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 45 წელს.
2. ჰქონდეს ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის ხარისხი და მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება; ჰქონდეს გარკვეული საგანმანათლებლო ან პროფესიული გამოცდილება იმ სფეროში, რომელშიც შემოაქვს განაცხადი.
3. მუშაობს სამთავრობო დაწესებულებაში, კერძო კომპანიაში ან კვლევით ინსტიტუტში და არის განყოფილების დირექტორი ან ოფისის უფროსი, უფროსი მენეჯერი ან აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევებში.
4. ფლობს ინგლისური ენას მინიმუმ B2 დონეზე. აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ დამადასტურებელი სერთიფიკატი (საბუთი).
5. აქვთ თავიანთ კარიერაში განვითარების დიდი პოტენციალი და ცდილობენ ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობასა და გაცვლას ჩინეთსა და მშობლიურ ქვეყანას შორის.

<u>სააპლიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალი:</u>

1. აღმოსავლეთ ჩინეთის პოლიტიკის და სამართლის მეცნიერებების უნივერსიტეტის (ECUPL) შევსებული მიღების განაცხდის ფორმა. (იხ. დანართი 1)
2. სკანირებული პასპორტის ასლი და 2 ფოტო სურათი (35x45მმ);
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი;
4. ყველა გავლილი კურსის ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი);
5. აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული ორი სარეკომენდაციო წერილი (შესრულებული ინგლისურ ენაზე ფაკულტეტის ბლანკზე, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით);
6. სასწავლო გეგმა (არანაკლებ 1000 სიტყვისა);
7. ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
8. ინგლისური ენის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
9. სამსახურის შესახებ ცნობა (თუ მიმდინარე სამუშაო გამოცდილება სამ წელზე ნაკლებია, გთხოვთ, წარმოადგინოთ ცნობა მინიმუმ სამი წლის სამუშაო გამოცდილებით).

მობილობის პროგრამით დაინტერესებულმა სტუდენტებმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) უნდა გადმოგზავნონ ელ-ფოსტაზე *outgoingmobility@tsu.ge* არაუგვიანეს 2025 წლის 7 თებერვლის 14:00 საათისა.

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სტიპენდია უზურნველყოფს:

- სამაგისტრო (1 წელი) პროგრამის საფასურს;
- საცხოვრებელს;
- სამედიცინო დაზღვევას;
- თვიურ სტიპენდიას CNY 8,000 ოდენობით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მგზავრობის ხარჯები არ ფინანსდება!